


საქართველო

ქრონოლოგიური თარიღი — ქრონოლოგიური თარიღი — ქრონოლოგიური თარიღი

ქრონოლოგიური თარიღი
 ქრონოლოგიური თარიღი
 ქრონოლოგიური თარიღი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.
 გამომცემის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№75 (1585) 24-26 ივლისი, 1997 წელი



**„ვანი შენ, ძვეყანავ,
 რომ... შენი დიდკასნი
 დიდიდანვე იწყებენ
 (შენს) ჭაბას“**

4

**რუსული სახლის
 გვერდები**

3

**გვერდების
 სექტის
 ისტორიიდან**

5

ანონსი


**ჩვენი გაზეთის
 მომდევნო
 ნომერში
 გამოქვეყნდება
 კანონი
 განათლების
 შესახებ**

● მკვანე შეპახილი

ამ წერილის დაბეჭდვა, როგორც ავტორმა გვითხრა, ვერაინ იკისრა, არც ჩვენთვის არის იოლი მუდმივი დაეიდარება „ამა ქვეყნის ძლიერებთან“, მაგრამ ყველაზე მაღლა ის უნდა იდგეს, რასაც დემოკრატიის მონაპოვარი ანუ სიტყვის თავისუფლება ჰქვია.

ბუნებრივია, ამ პრინციპიდან გამომდინარე, წერილის ადრესატებს სრული უფლება აქვთ პასუხისათვის ჩვენივე გაზეთით ისარგებლონ, ცხადია, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით.

**ამა ამბავი უპაღობო
 ბარამისა და
 ძმათა მისთა**



მს შეიძლება მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოხდეს, რომ მმართველი პარტიის ჩინოსანი წევრები სრულიად სააშკარაოდ და თავაზიანად დაუდგენენ გვერდით ბანდოტურ ჯაშუსს.

ძალიან საწყენია, მეტიც, თავზარდამცემი, მაგრამ სინამდვილეს სად წაუხედავ, როცა გიორგი ბარამიძე, მიხეილ მაჭავარიანი და ძმანი მათნი მკერდით გადაფარებინ ბანდიტობაში მხილებულ ფორმა „ელიზს“ და მის ეპილეფსიან (ოღონდ შეიარაღებულ!) პრეზიდენტს თამაზ ელიზბარაშვილს და არ დაეიდევინ არანაირი თურთღუელი თუ ეთიკური კანონის დარღვევას, რათა გადაარჩინონ კუთვნილ სასჯელს. ისინი უტოვრად აყრიან თვალში ნაცარს საზოგადოებას და თავიანთი ქმედებითა და ინტერვიუებით გეომტკიცებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიანობა გამეფებულია, მართვის სადავეები კრიმინალებს თუ მათგან დაშინებულ ადამიანებს უპყრიათ ხელში, სიმაართლეს არაითარი მნიშვნელობა არა აქვს და მმართველი პარტია რასაც ნებაეს, იმას ჩაიდენს.

ჯერჯერობით კიდევ გასდით და არც ღვთის სასჯელისა ეშინი-

**შეხვედნაქე მარინოვის
 დასჯის მოხერხება**

„დინამიკური სახეზეა და დამნაშავე უნდა დაისაჯოს“ — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან ალექსანდრე მარინოვთან დაკავშირებული ინციდენტის კომენტარებისას.

13 ივლისს ღამეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ალექსანდრე მარინოვი „ტიოტას“ მარკის ჯიპით დაეჯახა ორ თბილისელს, რომლებიც სააგადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ.

პრეზიდენტმა მეტი არაფერი თქვა ამასთან დაკავშირებით და დამსწრეთ მიანიშნა, რომ „ამ საქმეში ისედაც ყველაფერი გასაგებია“.

21 ივლისს მარინოვის მანქანაზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები მომავალი კვირის პირველ დღეებში გახდება ცნობილი. თავად მარინოვი დიპლომატიურ იმუნიტეტზე დაყრდნობით კელაგავა უარს ამბობს გამოძიებლის კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

შევარდნაძემ ასევე თქვა, რომ აშშ-ში ვიზიტის დროს იგი შეხვდა ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს მრეწველს გიორგი მახარაძეს, რომლის მიხედვით მიმდინარე წლის იანვარში ავტოკატასტროფაში დაიღუპა ამერიკელი გოგონა.

ამ ავარიის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ დათანხმდა მახარაძისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნაზე, რამაც საშუალება მისცა ამერიკის ხელისუფლებას არაგანზრახ მკვლელობა წარედგინათ ბრალდებულ ყოფილი ქართველი დიპლომატისათვის.

შევარდნაძემ თქვა, რომ ქართველი დიპლომატის სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელიც ოქტომბერში გაიმართება, შესაძლებელი გახდება საუბარი მახარაძის სამშობლოში გადმოყვანაზე. თუმცა, პრეზიდენტის თქმით, ჯერ ძნელი სათქმელია, თუ როგორი ფორმით მოხდება ეს.

„დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ ადრე თუ გვიან გიორგი მახარაძე აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში“ — თქვა პრეზიდენტმა. (სრაიმ-ნიუსი)

**მთვრალმა ცისფერჩაფხუბიანებმა
 გუგლიდში მთავარი ქუჩა გალაკებეს**

22 ივლისს 23.30 საათზე რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა, რომლებიც, როგორც ამბობენ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ჯაფანტრანსპორტიორით გადაკეტეს ზუგდიდის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა და იარაღის მუქარით ხსრეკდნენ ყველა გამეფულ მანქანას.

თვითმხილველთა თქმით, სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ძლივს იდგნენ ფეხზე და ეძებდნენ ავტომატს, რომელიც ერთ-ერთმა ჯარისკაცმა დაკარგა რამდენიმე საათით ადრე.

ზუგდიდის ძალისმიერმა სტრუქტურებმა დახმარების თხოვნით მიმართეს სამშვიდობო ძალების სამხრეთის ჯგუფის მეთაურს ალექსანდრე მესკოვეცს. ამ უკანასკნელმა შემთხვევის ადგილზევე განაიარაღა მთვრალი ჯარისკაცები, რომელთაც თვითნებურად მოაწყვეს რეიდი ქალაქის ცენტრში. დაკარგული ავტომატი ვერ იპოვეს. (სრაიმ-ნიუსი)

**ახალგაზრდა წყვილმა
 თვითმკვლელობა დააპირა**

29 ივლისს, გვიან ღამით, ახალგაზრდა წყვილმა თვითმკვლელობით სცადა სიცოცხლის დასარულება და ელბაქიდის დაღმართთან ხიდიდან დააპირეს მტკეპარში გადახტომა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოდან აცნობეს, წყვილი, რომელიც უშედეგოდ ეცადა თავის მოკვლას, ცენტრალური უნივერსიტეტის დარაჯმა შენიშნა და სასწრაფოდ შეატყობინა სახანძრო სამსახურს. მეხანძრეებმა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შეძლეს გადაეფიქრებინათ ახალგაზრდებისათვის მტკეპარში გადახტომა.

თვითმკვლელობის მიზეზად 25-26 წლის ახალგაზრდებმა, რომელთაც თავისი ენაობა არ დაასახელეს, „სიღარიბე და უიმედობა“ მოიყვანეს.

საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, გასულ წელს სულ დაფიქსირებულია 285 თვითმკვლელობა. აქედან 33 შემთხვევა სულიერად დაავადებულებზე მოდის, 61 — ქალებზე. თვითმკვლელობის 128 შემთხვევა თბილისში მოხდა. (სრაიმ-ნიუსი)

ახა ამბავი უკალბოო ბარამისა და ძმათა შინსთა

საქართველოს კონსტიტუციის
ახალი თარხი
8-9 აპრილსა

გუშინ სრულიად საქართველოს ლტოლვილთა ყრილობის კომიტეტმა განცხადება გააუქმლა, რომელშიც ნათქვამია, რომ 25-26 ივლისს დაგეგმილი ყრილობა გადატანილია 8-9 აგვისტოსათვის - საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიასთან ახლოს.

ყრილობის ორგანიზატორთა ადრე გაკეთებული განცხადებების მიხედვით ნავარაუდევო იყო ყრილობის მიერ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაუყოვნებელი დაბრუნებისა და აფხაზეთიდან, რომელსაც საორგანიზაციო კომიტეტი ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევს, რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნა.

პარლამენტმა სექტემბრის პრევენსიულ სხდომაზე დევნილთა ნებას პოლიტიკური შინაარსი უნდა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დევნილი მოსახლეობა არათუ გაემიჯნება ხელისუფლებას, არამედ დაუპირისპირდება მას, - ნათქვამია განცხადებაში, რომლის ტექსტი ფაქსის საშუალებით მიიღო გუშინ პრაიმ-ნიუსმა.

მომართვაში ასევე ნათქვამია, რომ თუ კონფლიქტის ზონიდან 31 ივლისს, მანდატის ამოწურვის შემდეგ, არ გაუვლდებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალები, ეს საპასუხო პარტიზანულ მოქმედებებს გამოიწვევს.

«მთავრობა ცუდ დღეში ჩავარდება»

„შემოდგომაზე მოსალოდნელია მწვავე სოციალური აფეთქება, რომელიც ბუნებრივად, ქუჩიდან დაიწყება. მე არაფერს ვაშინებ, მაგრამ მთავრობა ცუდ დღეში ჩავარდება“ - განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ქართველ ნაციონალისტთა ერთობის ხელმძღვანელმა ვაი მამალაძემ. მისი აზრით, მოვლენები რომ არ გამამაფრდეს, საჭიროა ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელზეც ქართველი ერის ნება გამოიხატება. აღინიშნა, რომ ყრილობაზე სხვა საკითხებთან ერთად, ეროვნული ეკონომიკის აღდგენის საკითხიც უნდა დადგეს (იფრინდა).

სარკალი მოსკოვის ბაჟინდა

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო, როგორც „იფრინდა“-სათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გახდა ცნობილი, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალი ვალერი ჩხუტი. საბჭო განიხილავს დსთ-ს ქვეყნების გარე საზღვრების ერთობლივი დაცვის მიმდინარე საკითხებს. (იფრინდა)

შეფოთიანება განხორციელდა

„სამართლიანად“ პარლამენტის ბიურო შეფოთებულია მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებით - ნათქვამია ბიუროს მიერ გუშინ გაუქმებული განცხადებაში. აქვე აღნიშნულია, რომ „ეკლესიაში მიმდინარე პროცესები ერის ტკივილს გამოხატავს, ამიტომ თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა მხარში დაუდგეთ დედაეკლესიას, რომელიც, ღრმად გვეჯერა, სულ მალე დააღწევს თავს პრობლემებს“.

იგივე პრობლემასთან დაკავშირებით გუშინ სახალხო



პარტიის მიერ გაუქმებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აპირებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსეული მოღვაწეობის უზრუნველყოფისათვის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით“.

„აქვე გვინდა აღინიშნოს საქართველოს ხელისუფლების ყოველად აუხსნელი პასიურობა არსებულ ვითარებაში, რაც მხოლოდ კონფლიქტის გადაყვებას უწყობს ხელს“ - აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს ეკლესიაში დაპირისპირებას მისი მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრობა დაედო საფუძვლად. ბეთანისა და დავით გარეჯის მონასტრების ბერებმა შეწყვიტეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მოხსენიება ღოცებში. საქართველოს საპატრიარქოში განხუთქვების თავიდან აცილების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან გამოსვლის შესახებ, თუმცა ვერც ამან გამოიღო სასურველი შედეგი - „მეამბოხებმა“ საპატრიარქოსაგან მოითხოვეს კავშირის გაწყვეტა ყველა იმ ეკლესიასთან, რომლებიც საეკლესიო საბჭოში არიან გაწევრიანებული. (პრაიმ-ნიუსი)

ააფთქანს ივანე მაჩაბლის სახლი

როზნოვც შეგატყობინეს 23 ივლისს დღის 2 საათზე სოფელ თამარაშენში ღიახვის ხეობაში ააფეთქეს ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი. ივანე მაჩაბელი, სამაჩაბლოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია კულტურის დარგში. ვის უშლიდა მისი სახლ-მუზეუმი, მკითხველმა ამოიცნოს.

პირველი გვერდიდან

ათ და არც საქართველოს პრეზიდენტისა.

მკითხველი გადაიღვინა მათ მიერ ავორებული სივრუისა და ცილისწამების დეარტოლოთ, რომლის მთავარი თეზისიც ის არის, რომ ბანდიტური ჯგუფი კანონიერად მოქმედებდა, ხოლო დამნაშავე არის დაზარალებული ფორმა.

კიდევ კარგი, დემოკრატიის ნიშნებიც შეიმჩნევა ჩვენს ქალაქურ სინამდვილეში და ასე თუ ისე მოხერხდა სივრუე-ცილისწამებათა მხილება, ამოტივტივდა ის ყაღბი დოკუმენტებიც, რომელთა მეშვეობითაც „ელიზის“ მესვეურნი აკერაზხინებდნენ თავიანთ ბნელ საქმებს, აგებულს კონტრბანდისტულ საქმიანობაზე, მაგრამ ამ ყოველივეს მაშინ ექნება მნიშვნელობა, როცა მოხდა ადგილობრივი სახელმწიფო და მმართველი შეიქმნება მოვლენათა გაუქმდართებას.

მაშინ საზოგადოება გახდება მოწმე მათი მართლაც გაუგონარი მომხვეჭლობის და სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვისა.

როცა ასე უტიფრად იცავ უსამართლობას, იოლი მისახვედრია, რა მოტივი და მიზანიც გამოძრავებს, აბა, ბანდიტებს უანგაროდ რატომ გადაეფარები, მაგრამ, აი, მიხეილ სააკაშვილმა, მოქალაქეთა პარტიის კიდევ ერთმა ჩინოსანმა, რომლის პიროვნებასაც დიდ პატივს ვცემ, ამას წინათ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გორგი ბარამიძე ისე შემოგვადგინა, ისე საბრალოდ და საცოდაოდ წარმოგვიდგინა და გემეტკიცებდა, ზამთარში პაღტოც კი ვერ უყვილია, გარეთ გამოსულგებმა პრევენტივად იმაზე დაიწყეთ ფიქრი, ფული შეგვეგროვებინა და კორუფციასთან მებრძოლი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარისათვის პაღტო გვეყიდა.

ფულის შეგროვება, გასაგებ მიზეზთა გამო, ცოტა გაგვიჭირდა და ამასობაში რამდენიმე გვმა წამოჰყო თავი.

არა, არ იფიქროთ, რომ მიხეილ სააკაშვილის სიტყვების სიმართლისად აღარ გვეჯეროდეს. ცხადია, ისევე ძველებურად ვართ დარწმუნებული, რომ გორგი ბარამიძეს პაღტოც კი არ გააჩნია, გამოკვრებული შარვლითაც დადის და დაკეცილი ხალათითაც, ფეხსაცმელებსაც ისე მოქცევითა ქუსლი, გული მოგიკვდება, ხოლო ნაყინს პარლამენტის სპიკერი თუ გაასწავლებს, თორემ მისი გემოც დააოწყებოდა. ეს ყოველივე გვეჯერა, მაგრამ უამრავი საეჭვო გარემოებიდან ორიოდეს გახსენებას, აღბათ, ძალიან არ გვიწყენს ბატონი მიხეილი.

ბანდიტურ ჯგუფს რომ




მფარველობენ მოქალაქეობის ჩინოსანნი, ეს მოსაზრება გამოთქვა ორმა პიროვნებამ: დაზარალებული ფორმის ადვოკატმა შადლა რჩეულიშვილმა და ბანდიტური ჯგუფის ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა. ამ მოსაზრებისათვის ბანდიტური გორგი ბარამიძეც და მიხეილ მაჭავარიანიც თავზე ხელს უსვამენ, ყოველნაირად ეხმარებიან და ადასტურებენ, რომ „ელიზის“ მფარველ-მხარდაჭერნი არიან, ხოლო ბანდიტური გორგის პრესიდან მიმართეს შეურაცხყოფელი სიტყვებით და მის წინააღმდეგ აღძრეს საქმე სასამართლოში.

კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ერთი და იმავე აზრისათვის ერთ პიროვნებას დევნა გამოუცხადეს, მეორეს კი პატივს არ აკლდებიან?

ან იმას როგორ აგვისნისთ, რომ ელენე თევდორაძის მიმართ გამოთქმული რამდენიმე კრიტიკული, ოღონდ საესტეტიკო სამართლიანი შენიშვნის გამო მოქალაქეობის ჩინოსანებმა საკუთარი გაზეტი „მოქალაქე“ დახურეს? ის შენიშვნები კი იმან გამოიწვია, რომ ქ-ნმა ელენემ აშკარა მიკერძოება გამოიჩინა ბანდიტური ჯგუფის მიმართ. გარდა ამისა, მუქარის კრიტიკულ დააყენეს პრესაში.

სწორედ თქვენ გინდა ყველაფერი გაუქმდეს და მაშინ იმედი გვაქვს, გვემართებას მეგობრობაზე მადლა დააყენებთ.

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა ფორმა „ელიზის“ კონტრბანდისტული საქმიანობის მამხილებელი მასალები, თანაც უზრუნველსი პირადად მიმართადა გორგი ბარამიძეს, როგორც ანტიკორუფციულ საპარლამენტო კომისიის თავმჯ-



თამარ ბაჩიაძე

პრეს-კონფერენცია ვიზიტის შედეგად

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აშშ-ში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით, პრეს-კონფერენცია გაიმართა.

პრეზიდენტის თქმით, ვაშინგტონმა დიდი დაინტერესება გამოხატა „მცირე“ და „დიდი“ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარების თაობაზე, რომელიც ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.

საქართველოს პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კავკასია მრავალი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედის, თუმცა, ე. შევარდნაძის თქმით, არაერთარ შემთხვევაში დაპირ-

სპირების პოლიგონად არ იქცევა“.

რაც შეეხება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში პარტიზანულ მოძრაობას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „რუსუბელიკის ხელმძღვანელობა არ მართავს პარტიზანებს“. მან აქვე დასძინა, რომ „ეს მოსალოდნელი იყო. მდგომარეობა აფხაზეთში უმართავ და შეუქცევად ხასიათს ღებულობს“.

ე. შევარდნაძემ უზრუნველსტებს აცნობა, რომ ამერიკის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთავრობის წევრს საქართველოსათვის 100 მლნ \$-ის ოდენობის დახმარების

გამოყოფის შესახებ. გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, ვაშინგტონი დახმარებას გაუწევს საქართველოს, ახალი ტექნოლოგიებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის სფეროებში. ქართული მხარე თავის მხრივ თანახმაა, ენერგეტიკულ სექტორში შემავალი საწარმოების აქციონათა საკონტროლო პაკეტის შექმნაზე უფლება გადასცეს უცხოელ ინვესტორებს და კომპანიებს, ასევე შესაძლებლობა მისცეს მათ, ქართველ კოლეგებთან მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიების მართვაში. (იფრინდა)

გაკვლევაზე ისტორიიდან



მეშვიდე საფეხურზე აღმოჩნდნენ დიდ საიდუმლოს, რომლის შინაარსიც შემდეგში მდგომარეობდა. ქვეყნიერებაში ყოველივე ერთიანია: კაცობრიობა, ბუნება და ყოველივე საგანი - მთლიანის ნაწილია, რომელიც თავის თავში როგორც აღმშენებელ, ასევე გამანადგურებელ ძალას შეიცავს. ის-მითილიტს შეუძლია ამ ძალით სარგებლობა საიდუმლოებით მოსაგონებელი მბრძანებლის საშუალებებით და ამით იგი ამაღლებულია არაზიარებულზე.

იმისათვის, რომ მერვე საფეხური გავვლო, სტუდენტს უნდა შეეცნოს, რომ ყველა რელიგია და ფილოსოფიური დოქტრინა ტყუილია. მნიშვნელოვანია მხოლოდ ბირთვობა, რომელსაც შეუძლია მთელი თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია გაკეთოს უდიდესი ძალაუფლების სამსახურში იმამის სახით.

მეცხრე, ბოლო საფეხურზე, ასეთ საიდუმლოს ვხვდებით: არადა არ არსებობს არავითარი რწმენა. მთავარია - მოქმედება, ხოლო ორგანიზაციის მეთაური ერთადერთია, რომელმაც იცის, როდის და ზუსტად როგორ უნდა იმოქმედოს.

ისმაილიტების საიდუმლო საზოგადოება, უდავოდ, დიდი გავლენით სარგებლობდა და შეეძლო აღეზარდა მრავალი ადამიანი, რომელნიც მზად იყვნენ ბრძალს დამორჩილებოდნენ თავიანთ ბელადებს. მაგრამ როგორც სხვა ამგვარი ორგანიზაციები, მათაც ვერ მიადწიეს ხილულ შედეგებს.

ალბათ, ისმაილიტთა საზოგადოებას კონკრეტულად არ მოუწია სწავლების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება. ფაქტია, რომ კართოს სექტამ არსებობა შეწყვიტა ვეზირ არდალის ბრძანებით 1123 წელს.

დადგა ჰასან იბნ საბაჰის დასაწერად „საქართველო“ №72-74.

გერი, რომელსაც შემდეგში „მთიელ მოხუცს“ შეარქმევინ. ეს მას უნდა გადაეშენებინა და განეხლებინა დაშლილი საზოგადოების მეთოდისა და შექმნა ორგანიზაცია, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს ათასი წლის მანძილზე.

ჰასანი ხორასნელი ფანატისიკოსი - შიიტის შვილი გახლდათ. პროვინციის მეფისნაცვალის კი - ორთოდოქსი მუსულმანი. ამიტომაც ალის - ჰასანის მამას, ძალები არ დაუზოგავს, რათა თავი სუნიტად გაესაღებინა ამგვარი ქმედება მისაღებად ითვლებოდა „გონიერი თვალთმაქცობის მოძღვრების“ მიხედვით. რადგანაც ეპიკები მისი რელიგიური შეხედულებების სიწმინდის შესახებ მინც რჩებოდა, იგი იხულებული შეიქმნა განდევნის ცხოვრება დაეწყო, ხოლო ჰასანი სუნიტურ სკოლაში შეეყვანა. ეს ჩვეულებრივი სკოლა არ გახლდათ. მეკადნიერები აქ მრისხანე იმამის მუბაჟიყის დაკვირვების ქვეშ ტარდებოდა, რომლის კეთილგანწყობის შემთხვევაში, გამოჩნდებოდა მოსწავლეები შემდგომში მაღალ მდგომარეობას იკავებდნენ.

აქ, ამ სკოლაში გაიქცა ჰასანმა კარების ოსტატი, ასტრონომი და მომავალი დიდი პოეტი ომარ ხაიამი. მეორე მისი თანაკლასელი ნიზამ-ულ-მულქი გახლდათ, რომელიც მიუხედავად თავისი გლესური წარმოშობისა, დროთა განმავლობაში პირველი მინისტრი გახდებდა თავის ავტობიოგრაფიაში ნიზამი დაწერს, როგორ დაიფიქს სამივე ერთად, რომ ის, ვინც პირველი დაიკავებს მაღალ პოსტს აუცილებლად დაეხმარება მეგობრებს.

საკმაოდ მაღელ ნიზამი თურქი სულთნის ალ-ფარსლანის ვეზირი გახდა. ახსოვდა რა ფიცი, მან შესწრო გახეხებინა ომარისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელმაც შესაძლებლობა მისცა პოეტს მისცემოდა უმეტოველ ცხოვრებას თავისი საყვარელ ნიზამ-ულ-მულქს. ამ პერიოდში ჰასანი ჩრდილში რჩებოდა, მოგზაურობ-

და რა წინა აზიში სასურველი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მოხერხებული დროის მოლოდინში. არსლანის (ლომი) გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მელიქ-შაჰი. მოულოდნელად ჰასანი გამოცხადდა ნიზამისთან და მოსთხოვა ადგილი სასახლეში. ბავშვობის ფიციის შესრულების შესაძლებლობით გახარებულმა ვეზირმა ჰასანს სასწრაფოდ მოუძებნა ხელსაყრელი ადგილი, შემდეგ კი თავის მემუარებში ასერიგად აღწერა, რა გამოვიდა აქედან: „ჩემი ხანგრძლივი და დაყინებული თხოვნების და რეკომენდაციების შემდეგ ჰასანი მინისტრად დაინიშნა, მაგრამ როგორც მამამისი, ისიც თაღლითი, არაზნა და ხარბი აღმოჩნდა. ის იმდენად გათვითცნობიერებული იყო ტყუილში, რომ სათნოებად მოეჩვენებოდა ადამიანს. სულ მალე ჰასანმა მელიქ-შაჰის დიდი ნდობა მოიპოვა“.

შაჰი ახალგაზრდა იყო, ჰასანმა კი ბრწყინვალედ აითვისა ხალხის თავისადმი დადებითად განწყობის ხელოვნება. მაგრამ ნიზამი თავისი გამოცდილებით, სამოსამსახურო სიით და ავტორიტეტით სახელმწიფოში მინც ყველაზე გავლენიან ბირად რჩებოდა.

ჰასანმა მისი მოშორება გადაწყვიტა.

1076 წელს სულთანმა იმპერიის შემოსავლის და გასავლის სრული ანგარიში მოითხოვა. ნიზამმა ამისათვის წელიწადი მოითხოვა. ჰასანმა კი დაარწმუნა მბრძანებელი, რომ მთელი სამუშაოს შესრულება ორმოც დღეში იყო შესაძლებელი და შესთავაზა სიტყვის საქმით დამტკიცება. სამუშაო დაავალეს მას და დანიშნული დროისთვის ანგარიში მზად იყო. აქ კი საქმემ გაუთვალისწინებელი მსვლელობა მიიღო. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ნიზამმა ჰასანს საბასუბო დარტყმა მიაყენა - მან ანგარიშის ბოლო ვარიანტში ისეთი შეცდომები და შეუსაბამოები მოქმედებდა, რომ განარისხებულმა

სულთანმა ჰასანი გააძევა, იგი ხომ ამტკიცებდა, რომ ანგარიში მისი ხელით იყო შესრულებული, აბა, რითი გაიმართლებდა თავს.

ჰასანი ისპაჰანში გაიქცა, თავის მეგობრებთან. შემორჩენილია დოკუმენტი, რომელიც შუქს ჰფენს ჰასანის იმეამინდელ აზრებს. ერთ-ერთი მისი მეგობარი - აბუ-ალი-ფაზალი ყვება, როგორ აღმოხდა ჰასანს თავისი ისტორიის მოყოლის შემდეგ: „ორი, ორად ორი ერთგული კაცი რომ მყოლოდა, თურქსაც და გლეხსაც ძირს დაეცემდი“. ჩათვალა რა, რომ ჰასანს გონება დაეზინდა, ფაზალი შეეცადა მის დაწინარებას. გაცოფებულმა ჰასანმა განაცხადა, რომ იგი ვალის გადახდას მინც მოახერხებს. შურისძიების გეგმის მოსაფიქრებლად იგი ეგვიპტეში გაემგზავრა.

ორი ათეული წლის შემდეგ, როდესაც ფაზალი უკვე ასასთანა მეთაურის ერთ-ერთი უახლოესი პირი გახდებდა, ჰასანი შეახსენებს ისპაჰანში გატარებული იმ დღის შესახებ: „აი, მე აღამუტში ვარ, ყოველივე იმის და უფრო მეტის მბრძანებელი, რასაც თვალის სწვდება სულთანის და მინისტრის მკედრები არიან. მე შეგვარულე ჩემი პირობა. ვიყვირე განა გიყვი, როგორც შენ მაშინ თვლიდი? მე მოვებებე

ორი ერთგული აღამუტის ჩემი გეგმის განსახორციელებლად“.

ჰასანი თვითონ ცხოვლებს მხოლოდ ბასსა თავის ავტობიოგრაფიაში, თუ როგორი ბედი ეწია მას სპარსეთიდან გაქცევის შემდეგ. ისმაილიტების საიდუმლო სწავლებაზე აღზრდილს, მას კარგად ესმოდა ამ ორგანიზაციებში ჩადებული შესაძლებლობები. იცოდა, რომ ორგანიზაციის ბირთვი კართოში მდებარეობდა და თუ ფაზალს დაეუფრებოდა, მას უკვე გააჩნდა გეგმა, თუ როგორ უნდა გადაეშენებინა სექტის წევრები კარგად ორგანიზებულ ფანატისებად, რომლებიც თავიანთი მეთაურის გულსთვის სიკვდილზე დიდი სიხარულით წვიდოდნენ. რაში მდგომარეობდა მისი გეგმა? ჰასანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკმარისი არ არის ხალხს სამოთხეს, ყველა სურვილის ასრულებას და მუდმივ სიამოვნებას შეპირდეს. საქართველო ეს მათთვის გენახებინა ხელოვნური სამოთხის შექმნით, სადაც მხიარული ჰყოლები ცხოვრობენ, ყოველი ხორციელი სურვილი აღსრულებულია. აი, ეს განხორციელდა ჰასანმა.

ბაბრამაშვა შამაშვილი ნოემბერში



დასაწერად „საქართველო“ №72-74.

დასაწერად იქცეოდნენ ხოლმე, რომელთაც აქტიურად უჭერდნენ მხარს უცხოელი ჟურნალისტები.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტებმა გამოაკვიყნეს პირთა ვჯგუფის განცხადება, რომლებიც მოშიინანთა წრეებიდან ამოარჩიეს. თითქოსდა ისინი „დამოუკიდებელი

ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტეს სუკ-ის მოსაღებში მოგვეყვია ყველა „მოშიინანი“. შეგროვდა დაახლოებით ასი გაწამებული ადამიანი. ზოგიერთები ბავშვებთან ერთადაც მოვიდნენ. საუბარი არ ეწყობოდა. ხალხს ნდობა ჰქონდა დაკარგული მთავრობის მიმართ. მაგრამ ბოლოს

ბი და ერთი კვირის შემდეგ ასი საჩივარიდან მხოლოდ ხუთიოდე დარჩა დაუკმაყოფილებელი.

ასეთი შედეგი დიდად იმედისმომცემი იყო. ჩვენ კიდევ ერთი სია შევადგინეთ და ისევე ცკ-ს გაუზუზავნეთ.

ეს, როგორც ჩანს, უკვე მე-

მონდა.

ამის შემდეგ ჩვენ ამგვარი სიები აღარ შეგვიდგენია. უცდილობით ჩვენ თვითონვე მოგვევლო ამგვარი საქმეებისათვის. უფრო მოგვიანებით ერთ გახუტში გამოჩნდა სტატია სუკ-ის მისაღების მუშაობის შესახებ. „რატომ მიდიან ადამიანები სუკში?“ - კითხულობდა გორბაჩოვის სკკპ ცკ-ს სამდივნოს სხდომაზე - ხომ არსებობს ცკ-ს მისაღები? დიახ, არსებობს, მაგრამ ხალხი რატომდაც მინც სუკ-ს აკითხავდა ჩვენ არაერთხელ გავკვივონია მათგან, რომ ადამიანს მხოლოდ აქ შეუძლია სამართლის პოვნა.

მე სიამაყით ეწერ ამის შესახებ, თუმცა ვგრძნობ, რომ ირონიულ დომიდს დავიმსახურებ. მშვენიერად მეცმის, რომ ამგვარი მოქმედებები ევრაეითარ შემთხვევაში ვერ გადაწონიან სასწორის მეორე მხარეს, სადაც მასიური დაპატიმრებები, უფლებათა შეზღუდვა, დაუმსახურებელი წყენა მათავსებული რაც იყო, იყო მინც გაგებდავ და ეიტყვი, რომ სუკ-ის მუშაობაში ამ გადახვევებმა დიდად განსაზღვრეს ჩვენი მუშაობის სტილი ბოლო წლებში.

ბაბრამაშვა შამაშვილი ნოემბერში

წიგნიდან „სუკი და კლავსული“

ანდროპოვის პრეზიდენტი ბრძოლის ფილიპ ბოჯკოვი

პროფკავშირების“ შექმნისათვის იბრძოდნენ. არაფერი საერთო პროფკავშირებთან ამ ხალხს არ ჰქონია, მაგრამ დასაველეთის პრესაში ისინი გამოიყენეს, როგორც ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლი მოქალაქეები როგორ უნდა მოქცეულყავით? ხელმძღვანელი ორგანოებიდან კი ზარები არ წყდებოდა, ითხოვდნენ მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

ყინული მინც გადდგა მე-5 სამმართველოს თანამშრომლებს უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდათ პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საქმეში.

ჩვენ ყველას მოუესმინეთ და ჩვენი წინადადებები წარუდგინეთ სკკპ ცკ-ს. იქიდან კი უნდა მოეცათ მითითებები ამ ადამიანების შემდგომი ბედის შესახებ. ცკ-მ ამგვარად გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცი-

ტისმეტი იყო ჩვენმა სიებმა ცკ-ში უკმაყოფილება გამოიწვია: სუკ-ს უნდა ხალხის თვალში კეთილბაბუად გამოჩნდეს! საერთო განყოფილებიდან, რომელსაც კუჩერინეკო და კ.მ.ბოგოლეოვოვი ხელმძღვანელობდნენ, უფრო მაღალ ინსტანციებში დაიწყეს რეკევა-თითქოს, სუკ-ის სხვის საქმეებში ეჩრება და შესაბამისი წერილი სკკპ ცკ-ს გენერალური მდივნის მაგიდაზე აღ-

იუმორის გვირგვინი — წუთუხსმენება

ჩვენი სტუმარია მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქ-ნი ნინო ჩხეიძე

ლაზიკა იმერულად

წლების მანძილზე ვეგობრობდი მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობთან ელენა გოგოლევიასთან. გეჟინდა მიმოწერა, მოკითხვები, რამდენჯერაც საქართველოში ჩამოვიდა, იმდენი მესტუმრა, მეც ჩავდიოდი მოსკოვში, ენახულობდი და ასე, რომ იტყვიან, „გადაფსკენილი“ ამხანაგები ვიყავით.

1983 წელს თბილისში ქართან ერთად იმყოფებოდა ელენა და ცხოვრობდა სასტუმრო „ივერიაში“. როგორც კი გაეგვ მისი ჩამოსვლა, ჩემს შვილიშვილთან ერთად გავექციე მის სანახავედ. ბევრი ვილაპარაკეთ, ვიჭორავეთ, გაეხსენეთ უამრავი რამ და ასე დავცილდით თბილი მოკითხვებითა და მოგონებებით ერთმანეთს.

ერთი თვის შემდეგ საქართველო-რუსეთის ტრაქტატის გამო ისევ ჩამოვიდა ელენა, ისევ გავეარდით მე და ჩემი შვილიშვილი სასტუმროში. უნდა გითხრათ, რომ რუსული ენა ცოტა ცუდად ვიცი, ვკითხულობ, მესმის, მაგრამ საუბარი გამართულად არ შემიძლია.

მე და ელენამ მოვიკითხეთ ერთმანეთი დიდი სიყვარულით გამახსენდა მისი ქარი და ვეკითხებო: - ა გლე ვაშ მუჟ სემიონ ისაკოვი? ელენას მეუღლე გახლდათ რეჟისორი, არაჩვეულებრივი დიდებული პიროვნება და დახვეწილი არისტოკრატი.

- და ია ადნა! - მითხრა მან.
- ა გლე ონ? - არ მოვეშვი ისევ მე.
- ა ონ უმერო - მითხრა.



- უმერო? გაიგე და ვიღამ დამაკაეა მე. იმერულად, ზესტაფონურად შევიცადე საბა იმდენი რუსული რა ვიცოდი, მიცვალებული რუსულად დამეტირა? ვტირი, თმებს ვოგლევაზე, მოვიქვამ, ვაი შე უბედურო, ვაი შე საცოდავო, ეს რა დაგმარინია, რაეა მიატოვე ელენა, რაეა გაბედე სიკვდილი... ერთი სიტყვით, სულ მუხლები დავიღეურჯე, რაეა მოკვდა უჩემოდ-მეთქი.

- ბუ მენია რაეა პახარანილი-მეთქი.
- ეტკუვე საყვედური ელენას.
- ნიხეო, ნინოჩკა, ნიხეო, ეტო ბილო დავენო - მითხრა.

- კაე დაენო, რანირად დაენო? - ვეკითხები მე. ნესკოლკო მესიაცვე ნახად ვი ვემესტე ბილი ე ტბილისი, ონ ბილ უიე, ზდაროე, ა ჩერეუ მესიაც ვი მნე გაეარიწე, რომ ეტო ბილო დაენო?

- და, ეტო ბილო დაენო. მითხრა ისევ. ახლა რას მიყვება: ერთ დღესო, აეად გახდა ჩემი ქარიო, დაეურეკე სასწრაფოს, წაიყვანეს საავადმყოფოში. მეორე დღეს დაერეკე, როგორა ჩემი ქარიო, რომ ვიკითხე, მიპასუხეს ცუდადო. მესამე დღეს დაერეკე, მითხრეს ძალიან ცუდად არისო, მეოთხე დღეს რომ დაერეკე, მითხრეს მოკვდაო და საავადმყოფოდან დაასაფლავესო. აბა, მითხარი როგორ შემეტყობინებინა შენთვის ეს ამბავიო.

ახლა, ქართველი ქალი რომ ყოფილიყო ელენას ადგილზე, ხომ გაიჩეჩაედა თმებს, შავეებს ჩაიცმევედა, დაოსდებოდა ტირილით და სასაფლაოზე მგონია წასაღები გამხდარიყო ქართან ერთად. ეს კიდევ მეუბნება, რამდენჯერმე შევეწუხდი, ტელეფონითაც მოვიკითხე, მაგრამ მინც მოკვდაო. რაფერი მოსასმენი იყო ახლა ეს ჩემთვის? ქალს



ქარი გიკვედება, შენ რეკავ რაფრა არისო, კითხულობ ერთხელ, ორჯერ, მერე ოგებ მოკვდაო და უშენოდ მარხავენ. გადავირეკე კინალამ ამის გამგონე, მაგრამ ყველაზე დიდი კურიოზი ის იყო, რომ მიმტკიცებს ეს იყო ადრეო, დაენოო, ერთი თვის წინო. ესე ოგი, ელენას თქმით, ერთი თვე ნამეტანი ბევრი იყო საგლოვად და ვითომ აღარ იყო სატირალი ის უბედურო.

ერთი სიტყვით, ისე გულდამოსკენილი ვსლუკუნებდი და ვტიროდი, ჩემი ცრემლები ნამდვილად მიუვიდოდა იმ უბედურს მოსკოვში.

ასე დავიტრე იმერულად სხვისი ქარი.

როგორ გავხლი მსახიობი

სამოლა ზესტაფონში დავამთავრე და იმ წელსვე ჩამოვედი თბილისში უშანგისთან. აქ კი ისეთი მრავალფეროვანი სამყარო დამხვდა, ისეთი საინტერესო, ღამაზი, ამადლებული და მრავალფეროვანი, რომ უნივერსიტეტის მეხუთე კურსის დამთავრებისთანავე ჩემს ძმას გამოეუცხადე, მსახიობობა მინდა-მეთქი.

უშანგემ ამხედ-დამხედა და მითხრა: - შენს ჭკუა-განათლებლაზე რომ თვალები დაეხუჭე, შენს გარეგნობას და ხიფათს რაღა ვუყოთო? ვინ მოგცემს შენ როლებს! გაუნათლებელი ხომ ხარ და ხარ, შეუხედავიც ხარო.

მე იხტიბარი არ გავიტეხე და ვუთხარი: - ახალგაზრდა ვარ, ვისწაველი რაც საჭიროა განათლებისათვის, რაც შეეხება ჩემს გარეგნობას და სიფათს, იმის შესაფერის როლებს მომიცემენ-მეთქი.

უშანგი სასტიკი წინააღმდეგი იყო, მა-

აბც და მიძულა ციტილმა,
აბცა ცტემლომის დენამა,
მიძულა ისეუ სიცილმა,
ლაძაბდიანმა ონამა



გრამ მეც რომ ბევრი ვიღვარდვარე და ვიწუწუნე, რაღა უნდა ექნა? მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში შალვა ღამბაშიძესთან. მან დიდი სიყვარულით მიმიღო და მომისმინა. უშანგემ თან „სარეკომენდაციო“ წერილი გამატანა, სადაც დაცინვით ეწერა ჩემზე: - „ისეთი ნიჭიერია ეს ქალი, რომ არ ეტევა მის შინაგან ძალაში ეს ნიჭი და ნუ დაეღუპავთ, გზა მიეცეთ საასპარუზოდო“.

ასე მოგხვდი ჩემი ძმის წყალობით თეატრში და გავეხდი მსახიობი. ისე კი, უშანგის დის წოდება დასარიგებელი რომ ყოფილიყო მთავრობისაგან, მე ნამდვილად არ მომცემდნენ. ეს ბედნიერება ღმერთმა მომანიჭა და დღესაც არაფერი მბაბღია ამ სახელზე უფრო ძვირფასი.

რეკლამა

იგივე, ალბათ, ახლა რეკლამების ბუშია. ტელევიზიით რის რეკლამას აღარ ნახავეთ ტაფის, ზეთის, ნაყინის, ნამცხვრის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის. რისი არა. პოდა, მოიფიქრეს სასმენი აპარატისათვის გაეწიათ რეკლამა. დამირეკეს, მთხვევს გადაგიღებოთ და მეც დავთანხმდი.

წამიყვანეს საბურთალოზე, მიმიყვანეს მშვენიერ ბინაში, ჩამსვეს სარწმუნოება სკამში და მომიცეს ამოცანა. ვითომ მე ყრუ ვარ, არაფერი არ მესმის, მოწყენილი ვარ, მოწყვეტილი ამ სამყაროს, ერთი სიტყვით საშინლად ეიტანჯები სიყვროს გამო და როგორც კი გაშიკვთებენ ამ სმენის აპარატს, მესმის ყველაფერი. და ბედნიერი სახე მაქვს.

მე შევასრულე ეს დავალებული ამოცანა. გადამღები ჯგუფი ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩემი ნამუშევრით და მანუქეს კონვერტში სათუთად ჩადებული ორმოცდაათი ლარი ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, ცხოვრებაში არ მქონია საათი და ავისრულე ეს ოცნება. აღებული თანხით მშვენიერი მაჯის საათი ვიყიდე, რომელსაც დღე და ღამ არ ვიშორებ და წამოსკუპული მაქვს ხელზე.

ეს რეკლამა ახლაც გადის პირველ არხზე ცნობილი ტელეკომპანის „კასანდრას“ დროს თუ არ გინახივართ, ნახეთ ერთი, როგორი ვარ ყრუს როლში).

ასე და ამგვარად, ერთ დღესაც გავიდა ეს რეკლამა ფილმში და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო? ჩემი ტელეფონი გადამოვარდა რეკით, გაწითლდა, გაყვითლდა და ბოლი აუვიდა. მირეკავს ხან ვინ, ხან ვინ. შეკითხებიან, ქაღალატონო ნინო, თქვენ ამზადებთ ამ აპარატს? რა ღირს? როდის მოვიდეთ? თუ მე არ ვამზადებ, მაშინ საიდან ვლებულობ? ძალიან ყრუ ვარ თუ არა? აპარატის შემდეგ როგორ მესმის? და ა.შ.

ეს ყველაფერი ხდება ტელეფონით. ახლა რა ხდება ქუჩაში?

ჩემი მარშრუტია სახლი და თეატრი, ამ პატარა მონაკვეთში მხედება ხალხი, ნაცნობები, უცნობები, და მიყვრიან: ნინო, შე უბედურო, ეს რა მოგსვლია, რაფერ დაყრუებულხარ? ტირიან, ცრემლებს აღვარდვარებენ, აღარ არიან ჩემი საცოდაობით.

მეც ვდგევარ და ვუხსნი, რომ არა, ბატონო, ცდებით, მშვენიერი სმენა მაქვს, ყურები დოკატორებივით მაქვს და უმნიშვნელო ჩემიცი კი მესმის. ეს მხოლოდ რეკლამა და ყრუს ვთამაშობ, თორემ ჯერ არ დაყრუებულეარ ბატონო, არა-მეთქი.

ერთი სიტყვით, ამ რეკლამამ ისეთი პოპულარული გამხადა, რომ მეტი არ შეიძლება. ახლა, ალბათ, მიმიწვევენ მუხჯის როლზე, ბრმის როლზე და ვინ იცის, კიდევ რომელ სარეკლამო როლში შემომთავაზებენ გადაღებას და ჩემი პოპულარობა მერე ნახეთ. ააა?!



გვარ-სახელსა და ნათესაობაზე თქმული

- * სანდრა-ბიჭმა გააფრთხილა მშობლები - თუ საცოლედ ისეთ ღამაზ გოგოს არ აღმომიჩნებთ, ჩემს სახელს რომ წინ „კა“ დავმატებ, ჩემგან დაოჯახებას ნუ ელითო.
- * მექრთამე მოსამართლე ჯიბოს ცოლი, ნაკვდა „ჯან ტიკო, ტიკო“-სი, დიღინებდა ხოლმე - „ჯან ჯიბოს ჯიბო“.
- * ქარი ტიკტორიანი იყო და ცოლი მარტო ტორიანიო.
- * ქალიშვილი რომ გვარად „ქე-შია“-ს გაჰყვა - დღეიდან შენც ჩემი ხარ და „ისიციკა“.
- * სახელი? - გოგი. წარმოშობა? - სვანი, გვარი? - გოგისვანიძე!
- * თინა გაგულისდა - რუსთაველთან რომ თინათინი ვიყავ, ახლა რატომ გამანახევრეთ?!
- * ანდაზამ „რძალსა და დედამთილს შუა, „კაცისა დაიკარგაო“, ჩაიციინა - ასეთ ქურდობას არც რძალი ითაკილებდა და არც დედამთილიო.
- * ვირმა გაიკვირვა - ამქვეყნად ბევრი შემხვედრია: - ღომიძე, მგელაძე, ირემაძე, ვეფხვაძე, ნადირაძე, დათუნაშვილი და ვირიშვილს ვერსად წაეაწყდითო.
- * ახლა კი ნამდვილად აბზინიძე ვარ ჩემი პენსიიდან აბაზი მიწვევს დღეშიო.
- * - დევი! ნელი უნდა ვითხოვო, და - ითხოვე შეილო, ოღონდ საქმეში იყოს ჩქაროო.
- * ნანული მანამდე სწუნობდა საქმე-როებს, სანამ წინ „სი“ არ დაიმატაო.
- * მეურნე კაცი უუჟუნა წვიმას ნატრობდა, მისი უცოლო ბიჭი კი - მარტო უუჟუნასაო.
- * - ანდრო! ნიკა! შეიღებო! ამოდით საუხმე მზად არიო და, „იმ დღეიდან დადგინდა მათი გვარი - ანდრონიკაშვილიო.
- * კომბინატორს, რევიზორად გაბრუნდ მიქელაძე გაუგზავნეს და ჩემს ჩაონჩრებულ საქმეებს მიქელაძებრივად აკლდაო?!
- * ავთანდილს ჩაუცინეს - შენ რომელია ავ საქმეში გარეუღხარ, თორემ

თავიდან თურმე თანდილა გრქმევიაო.
* „ქალისამ“ გაასაჩივრა - ჩემს სიცოცხლეში მზე არ მინახავს და ჩემზე „მზეთუნახავი“ უპირანიაო.
* ჩაიხე შეყვარებულმა შაქროს ცოლმა, შაქარი მოიმარაგა - ღმერთმა ერთი ღამეც ნუ გამატარებინოს... უშაქროთაო.
* მმართველის ცოლმა წაიტრბახა - ჩემს ქმარს დიდად მოსიყვარულე მდივანი ჰყავს, ასე მითხრა - შენ გენაცვლებიო.
* ჭიათურაში მიეღინებულ ქმარს ჩააცვიდა ცოლი - რას ჩამომიტან, და - შეე ქვასაო.
* ცოლ-ქმრის სასამართლოში გაყრას, სასამართლოდან გაყრა სჯობიანო.
* საწყობმა დაიჩივლა - დირექტორად რომ მინდამე მეყოლება, ბუჰხალტრად მომიცემოდე, და გამგელ - ჩემია, მე რაღა გამახარებსო?!

